



**თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 71

2014 წლის 25 დეკემბერი

**თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეზე და გამგებელზე პრემიის გაცემის შესახებ**

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის № 58 დადგენილებით დამტკიცებული წესის 5-ე მუხლის 5-ე პუნქტის შესაბამისად,

1. ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს - პაატა გიორგობიანს და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს - ალექსანდრე შათირიშვილს მიეცეთ პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი თანხა.
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურმა.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი